

გერმანიაში სწავლა ჩვენთვის ძალიან დიდი გამოცდილებაა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვხვდებით, რომ ჩვენ ძალიან ბევრი რამ ვისწავლეთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ოცნება ახდა. გერმანიაში ყოფნის 3 თვე ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო, არც ერთი დღე არ ჰგავდა ერთმანეთს. გერმანიაში ჩასვლის პირველი დღიდანვე მივხვდით, რომ სხვა სამყაროში მოვხვდით. კარგად გვახსოვს უნივერსიტეტში (DHBW) შესვლის პირველი დღე, ყველაფერი ძალიან ლამაზი და მოწესრიგებული იყო. დიდი, ლამაზი და დახვეწილი 7 სართულიანი შენობა სადაც ყოველ დღე დავდიოდით და ლექციები გვიტარდებოდა. ლექციების მსვლელობაც ძალიან საინტერესო იყო. ჩვენი ხელმძღვანელი ქალბატონი ლანგეც ძალიან ყურადღებიანი იყო ჩვენს მიმართ. DHBW-ს პრეზიდენტიც ძალიან თბილად შეგვხვდა ქართველებს. გერმანიაში ყოფნის დროს ვცდილობდით გერმანიის სხვადასხვა ქალაქში წავსულიყავით და უფრო უკეთესად გაგვეცნო გერმანელი ხალხის კულტურა. დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე საშობაო მზადებამ და ხალხის მოლოდინმა ამ დღესასწაულისადმი. ყველა ქართველ სტუდენტს ვურჩევდით, რომ სწავლა არ დაიზარონ და ყველანაირად ეცადონ, რომ ამ პროგრამაში, რომელიც გერმანიაში 3 თვით სწავლას გულისხმობს, გაიმარჯვონ. დიდი მონდომებითა და დაუზარელი სწავლით მათაც ჩვენსავით გაუმართლებთ.

გერმანიაში გატარებულმა სამმა თვემ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა და ვიცით, რომ ჩვენი ცხოვრების ეს პერიოდი არასოდეს დაგვავიწყდება. ბედნიერი ვართ, რომ “ალმა-მატერმა” მოგვცა შესაძლებლობა 3 თვე გვესწავლა DHBW-ში.